დამტკიცებულია დირექტორის N5; 08.09.2025 ბრძანებით

დანართი N1

# შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის დებულება

## თავი I

## ზოგადი დებულებები, მიზნები და ამოცანები

### მუხლი 1. დაწესებულების იურიდიული სტატუსი

1. შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯი (შემდგომში – „კოლეჯი“) კერძო სამართლის იურიდიული პირი – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც დაფუძნდა საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად, კოლეჯის სტატუსის მოსაპოვებლად.
2. კოლეჯის სრული სახელწოდებაა: შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯი.
3. კოლეჯი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საკუთარი წესდებითა და ამ დებულებით;
4. კოლეჯს აქვს ბეჭედი შესაბამისი სიმბოლოთი, საიდენტიფიკაციო კოდითა და კოლეჯის სახელწოდებით, ბლანკი, საბანკო ანგარიში და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

### მუხლი 2. საქმიანობის სფერო

1. კოლეჯის საქმიანობა მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად პროფესიულ საგანმანათლებლო სფეროს.
2. კოლეჯის საქმიანობისას ითვალისწინებს ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვას, მათ შორის რელიგიური და ეთნიკური კუთვნილების ან შეხედულების, სქესის, სოციალური წარმოშობის და სხვა ნიშნით.

### მუხლი 3. კოლეჯის სტრუქტურა

1. კოლეჯის სტრუქტურა შედგება დამფუძნებლისგან, დირექტორისა და საშტატო ნუსხით განსაზღვრული პერსონალისგან.
2. კოლეჯის საშტატო ნუსხით განსაზღვრულ თანამშრომლეთა სამუშაო აღწერილობები მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით;
3. კოლეჯში არ შეიძლება შეიქმნას პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციების სტრუქტურული ერთეულები.

### მუხლი 4. კოლეჯის მიზნები და ამოცანები

1. კოლეჯის მიზანს წარმოადგენს:

ა) ერთიანი პროფესიული საგანმანათლებლო სივრცის შექმნა;

ბ) შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფა;

გ) დასაქმების ხელშეწყობა;

დ) პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის სისტემის შექმნა;

ე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის დამსაქმებლის მონაწილეობის ხელშეწყობა;
ვ) პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა;
ზ) განსაკუთრებული საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიულ სტუდენტთათვის სათანადო ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნა;
თ) დასაქმებულთან/პროფესიულ სტუდენტთან (მის კანონიერ წარმომადგენელთან) შესაბამისი ხელშეკრულებების დადება და კოლეჯის შესაბამისი მარეგულირებელი აქტების გაცნობა.
ი) საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება, უცხოეთის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა გაცვლითი სასაწავლო პროექტების განხორციელება.

## თავი II. კოლეჯის მართვა

### მუხლი 5. მართვის ორგანოები

1. კოლეჯის მართვის ორგანოებს განეკუთვნება:
ა) დამფუძნებელი;
ბ) დირექტორი.
2. კოლეჯის პერსონალს წარმოადგენენ, საშტატო ნუსხით გაათვალისწინებული პირები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები.

### მუხლი 6. დამფუძნებელი

1. დამფუძნებლის უფლებამოსილება განსაზღვრულია კოლეჯის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით.

### მუხლი 7. დირექტორი

1. კოლეჯის დირექტორი ხელმძღვანელობს და წარმართავს კოლეჯის საქმიანობას.
2. კოლეჯის დირექტორის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება კოლეჯის დებულებით.
3. დირექტორი მოქმედებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, წესდების, ამ წესისა და კოლეჯის სამართლებრივი აქტების შესაბამისად,
4. უზრუნველყოფს ხელშეკრულებების/მემორანდუმების დადებასა და შესრულებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და წარმოადგენს კოლეჯს მესამე პირებთან ურთიერთობებში;
5. დირექტორი ახორციელებს შემდეგ უფლებამოსილებებს:
ა) კოლეჯს წარმოადგენს მესამე პირებთან ურთიერთობაში;
ბ) ამტკიცებს კოლეჯის ბლანკს, სტრუქტურას, საშტატო ნუსხას, საქმისწარმოების წესს, შინაგანაწესს, კოლეჯის დებულებას, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს, პროფესიული განათლების დამადასტურებული დოკუმენტის - დიპლომის ფორმას და კოლეჯის ფუნქციონირებისათვის საჭირო სხვა დოკუმენტებს;
გ) დებს ფინანსურ ან სახის გარიგებებს;
დ) თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს კოლეჯის პერსონალს;
ე) დებს შრომით/სასწავლო/მომსახურების და სხვა სახის ხელშეკრულებებს;
ვ) საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – ბრძანებას;
ზ) ანაწილებს მოვალეობებს კოლეჯის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ სათანადო მითითებებსა და დავალებებს, ზედამხედველობას უწევს კოლეჯის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას;
თ) დამხედველობს კოლეჯში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესს;
ი) ამტკიცებს პროფესიულ საგანმანათლებლო საგანმანათლებლო/პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამებს;
კ) ეფექტიანად წარმართავს/განკარგავს კოლეჯის ადამიანურ/ფინანსურ/მატერიალურ რესურსებს და ხელს უწყობს აღნიშნული რესურსების განვითარებას;
ლ) განიხილავს და ამტკიცებს კოლეჯის განვითარების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს;

მ) ზრუნავს კოლეჯის კონკურენტუნარიანობასა და მის პოპულარიზაციაზე;
ნ) განიხილავს სხვა საკითხებს, დაკავშირებულს კოლეჯის საქმიანობასთან;
ო) ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტებზე ორიენტირებული სერვისების განვითარებას;
პ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და კოლეჯის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.
5. კოლეჯის დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დამფუძნებელი;
6. კოლეჯის დირექტორი ანგარიშვალდებულია დამფუძნებლის წინაშე.